თამარ მესხი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რომელი ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ზეპირგადმოცემას ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ?

აბსტრაქტი

„ახალი ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ოსმალეთის სულთანმა წარმოუგზავნა კაცი მეფე გიორგის (1525-1527), იმერეთის მეფე ბაგრატს (1520-1574), კახეთის მეფე ლევანს (1510-1527) და აუწყა, რომ იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრები უსჯულოებმა დაიპყრეს. მოუწოდა მათ, გაეძევებინათ მტერი, სანაცვლოდ კი სალოცავებს მათ გადასცემდა. ქართველმა მეფეებმა ილაშქრეს იერუსალიმზე, გაანთავისუფლეს წმინდა ადგილები. სულთანმა კი დანაპირები შეასრულა. ეს ცნობა სხვადასხვა ვარიაციებით შეავსეს ვახუშტი ბაგრატიონმა და ტიმოთე გაბაშვილმა.

ხსენებულმა ცნობამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოქმნა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევრებს შორის. ერთ ნაწილს (თ. ბაგრატიონს, თ. ჟორდანიას) მის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდა. სხვანი კი (მ. ბროსე, ალ. ცაგარელი) ქართველთა მიერ იერუსალიმის იარაღით აღებას გამორიცხავდნენ. მსჯელობა ამ საკითხზე XX საუკუნეშიც გაგრძელდა. იერუსალიმში „ლაშქრობა“ ეჭვქვეშ დააყენეს ე. მეტრეველმა და ლ. მენაბდემ. მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმეტესობა (ე. მამისთვალიშვილი, რ. ფირცხალაიშვილი, ა. თვარაძე, ს. მასხარაშვილი, ც. ღვაბერიძე) მიიჩნევს, რომ იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობა ნამდვილად მოხდა. ლაშქრობის დროდ კი ასახელებენ 1517 ან 1527 წელს. გ. ჯაფარიძემ მიმოიხილა ყველა თვალსაზრისი და დაასკვნა, რომ მსჯელობა ქართველთა ლაშქრობაზე პალესტინაში არარეალურია, ასეთი რამ არ მომხდარა.

კვლევის შედეგად გაირკვა: როდესაც სულთან სულეიმან I (1521-1566) ევროპაში ლაშქრობდა (1521-1532), მის მიერ 1523 წელს სიონიდან გამოძევებული ფრანცისკანელები უკან დასაბრუნებლად ან იერუსალიმში დასამკვიდრებლად იბრძოდნენ. ამიტომ 1527 წელს ქართველი მეფეები იერუსალიმში ჩავიდნენ, მაგრამ არა სალაშქროდ, არამედ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე უფლებების განსამტკიცებლად, რაც, ოსმალეთთან მტრული ურთიერთობის გამო, მოგვიანებით გადააზრებულ იქნა ლაშქრობად.

საკვანძო სიტყვები: *იერუსალიმი, ლაშქრობა, სულეიმან I, ფრანცისკანელები, ზეპირგადმოცემა*

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი, ბერი ეგნატაშვილი, გვაუწყებს: *„წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მომიცემიაო“.*[1]

იმავე თხზულების თანახმად, ამ მოწოდებით გახარებულმა გიორგი IX-მ (1525-1527 წწ.), კახეთის მეფემ ლევანმა (1520-1574 წწ.) და იმერეთის მეფემ ბაგრატმა (1510-1527 წწ.) ილაშქრეს იერუსალიმზე და *„მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავმან ქრისტესმან და გაემარჯუათ... და მოსრნეს მუნა-მყოფნი მრავალნი ყოველნივე და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი“*. ეს რომ სულთანმა გაიგო, *„წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე ხონთქარმან მათ სიგელითა მტკიცითა“*. ქართველი მეფეები *„წარმოვიდნენ თჳსსა ადგილსა და მოვიდნენ მშჳდობით გამარჯუებულნი და განიხარეს“*.[2] ლაშქრობის თარიღი წყაროში დასახელებული არ არის.

ბერი ეგნატაშვილის ეს ცნობა გაიმეორა ვახუშტი ბატონიშვილმა, მაგრამ საკუთარი თვალსაზრისიც დაამატა – შეეცადა აეხსნა ქართველი მეფეებისადმი ოსმალო სულთნის კეთილგანწყობა: *„ესე ჰყო ხონთქარმან, რამეთუ ბრძოდა დასავლით; მეორედ, ვინადგან შიხის ძე ყეენი და იგი მტერობდენ, რათა ამით დაიპყრას მან ყოველი საქართველო და არა მიერთნენ შიხსა“*. გარდა ამისა, ვახუშტი ბატონიშვილი აზუსტებს, რომ ხონთქარი, რომელმაც ქართველ მეფეებს უხმო, იყო სულეიმანი. ლაშქრობის მონაწილედ კი, ზემოთ ხსენებულ პირებთან ერთად, ასახელებს სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს (1516-1535 წწ.).[3]

ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობა ტიმოთე გაბაშვილმა, იერუსალიმური ზეპირი გადმოცემების საფუძველზე, თავიდან სულთან სელიმ I-ის მიერ 1516-1517 წლებში ეგვიპტეში გაჩაღებულ ომებს დაუკავშირა და ომში სულთნის მხლებლად მხოლოდ მეფე გიორგი დაასახელა. მოგვიანებით მეფე გიორგის თანამებრძოლებად დაასახელა: კახეთის მეფე ლევანი, იმერეთის მეფე ბაგრატი და სამცხის ათაბაგი ყვარყვარე. მკვლევართა ვარაუდით, ტ. გაბაშვილმა ეს ცვლილება მას შემდეგ შეიტანა, რაც ვახუშტი ბატონიშვილის მონათხრობს გაეცნო, „ლაშქრობა“ კი 1529 წლით დაათარიღა. ამასთან, ტ. გაბაშვილმა დაასახელა მტერი, ვის დასამარცხებლადაც ქართველებმა გაილაშქრეს: *„წარმოავლინა ხონთქარმა სულეიმან ელჩი და მოსწერა, ვითარმედ არს იერუსალიმი ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდროცა არს თქვენი...“*.[4]

---

[1] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959), 353.

[2] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 354.

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. (ბილისი: 1973), 400-401.

[4] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი: 1956), 79-80.

წარმოდგენილმა ცნობებმა აზრთა სხვადასხვაობა წარმოქმნა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ქართველ მკვლევრებს შორის. მკვლევართა ერთ ნაწილს (თ. ბაგრატიონს, თ. ჟორდანიას) მის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდა. სხვანი კი (მ. ბროსე, ალ. ცაგარელი) ამ ცნობას ზეპირგადმოცემად მიიჩნევდნენ და ქართველთა მიერ იერუსალიმის იარაღით აღებას გამორიცხავდნენ.

აზრთა სხვადასხვაობა XX საუკუნეშიც გაგრძელდა. ე. მეტრეველმა და ლ. მენაბდემ ეჭვქვეშ დააყენეს ქართველთა მიერ იერუსალიმის *„ხმლით აღება“*. ე. მეტრეველის აზრით, საკითხის გადაწყვეტას გააადვილებდა, ერთი მხრივ, *„ახალი ქართლის ცხოვრების“* და ვახუშტი ბაგრატიონის *„საქართველოს ისტორიის“*, ხოლო მეორე მხრივ, იერუსალიმურ გადმოცემათა წყაროების დაძებნა.[5] ლ. მენაბდე არ გამორიცხავდა, რომ ზეპირგადმოცემას და წყაროთა ჩვენებას საფუძვლად დაედო ზოგიერთი კონკრეტულ-ისტორიული ფაქტი (ქართველთა ბრძოლა მამლუქთა წინააღმდეგ, ვახტანგ III-ის მონაწილეობა ილხანთა ლაშქრობაში ან სულთან სელიმის საომარი ოპერაციები), რომელიც გადამუშავდა, გაზვიადდა და ზედმეტად გახმაურდა.[6]

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წყაროები არ გამოვლენილა, ქართველ მკვლევართა ნდობა ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონისა და ტ. გაბაშვილის მონათხრობთა მიმართ დღესაც არ განელებულა. ეს ცნობები იკვლიეს: ე. მამისთვალიშვილმა,[7] რ. ფირცხალაიშვილმა,[8] ალ. თვარაძემ,[9] ს. მასხარაშვილმა[10] და ც. ღვაბერიძემ,[11] რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობა ნამდვილად მოხდა. თითოეულმა მათგანმა თავისებურად დაასაბუთა „ლაშქრობის“ მიზეზიც და დროც (1517 ან 1527 წელი).

გ. ჯაფარიძემ ვრცლად მიმოიხილა „ლაშქრობასთან“ დაკავშირებით გამოთქმული როგორც ძველი, ასევე ახალი თვალსაზრისები. ამ თვალსაზრისების აღმოსავლურ ისტორიულ წყაროებთან შეჯერების შედეგად, არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქართველებმა ილაშქრეს

---

[5] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 0225-0230.

[6] ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980), 115-118.

[7] ელდარ მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო (გამომცემლობა ქართლი, 1998), 106-107; მისივე: საქართველო იერუსალიმის ისტორიიდან – XVI-XVIII სს. (თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008), 12.

[8] რიმა ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის (თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987), 49; მისივე: კვლავ რუსთველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო (თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991), 27; მისივე: პირველი მეცნიერული სიტყვა რუსთველის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, 23 (2002): 113.

[9] ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე (თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“, 2004), 135.

[10] სიმონ მასხარაშვილი, მატიანე ქართველთა, შტრიხები ფიქრისა და განსჯისათვის (თბილისი: ელფის გამომცემლობა, 2006), 213.

[11] ციალა ღვაბერიძე, 1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ. – ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 8 (2008): 118-126.

პალესტინაში 1517 ან 1527 წელს, არარეალური და უსაფუძვლოა. ასეთი რამ არ მომხდარა.[12]

რაკი ქართველთა მიერ იერუსალიმის „ხმლით აღება“ გამოირიცხა, კიდევ უფრო საინტერესო ხდება, რომელი ისტორიული მოვლენა შეიძლებოდა დასდებოდა საფუძვლად ზემოთ ხსენებულ ზეპირგადმოცემას. არაფრისგან ხომ ვერ წარმოიქმნებოდა?

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორის, ბერი ეგნატაშვილის მონათხრობში ფიგურირებენ: გიორგი IX (1525-1527 წწ.), კახეთის მეფე ლევანი (1520-1574 წწ.) და იმერეთის მეფე ბაგრატი (1510-1527 წწ.). ამიტომ ზეპირგადმოცემას საფუძვლად უნდა დასდებოდა მათი ზეობის წლებში მომხდარი კონკრეტული ისტორიული ფაქტი და არა ადრინდელი. იმავე წყაროს მიხედვით, *„ლაშქრობის“* მიზეზი გამხდარა სულთნის მოწოდება: *„საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მომიცემიაო“.*[13] რელიგიურ კონფლიქტზე მიუთითებს ტ. გაბაშვილიც *(„განყარენით ფრანგნი ბუნით და დაიპყრენით“).* ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად კი, იმ დროს როდესაც ქართველმა მეფეებმა იერუსალიმზე „ილაშქრეს“, სულთან სულეიმანი *„ბრძოდა დასავლით“.* ამიტომ ვნახოთ, რა ხდებოდა იერუსალიმში ოსმალეთის იმპერიის მიერ ევროპაში წარმოებული ომების დროს.

ცნობილია, რომ ოსმალეთის სულთანი სელიმ I (1512-1520), ძირითადად, დაკავებული იყო ირანისა და ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობებით. 1520 წელს სელიმ I მოულოდნელად გარდაიცვალა და ოსმალეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი – სულეიმან I (1520-1566 წწ.), რომელმაც ყურადღება ევროპაზე გადაიტანა. 1521-1532 წლებში სამჯერ გაილაშქრა უნგრეთზე, ორჯერ – ავსტრიაზე.[14]

---

[12] გოჩა ჯაფარიძე, იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ 1516-17 ან 1527 წლებში. — ჟურნ. ქართველოლოგია, 3 (2011): 5-19; მისივე: ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018), 163.

[13] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება, ტ. II, 353.

[14] სულეიმან I-მა 1521 წელს დაიწყო ომი უნგრეთის წინააღმდეგ, აიღო მისი ქალაქი ბელგრადი. 1522 წელს დაიპყრო საბერძნეთის კუნძულები – როდოსი და დოდეკანისა. 1526 წლის გაზაფხულზე ისევ უნგრეთისკენ დაიძრა. დაიპყრო უნგრეთის დედაქალაქი ბუდა. ბრძოლის დროს დაიღუპა უნგრეთის მეფე ლაიოშ II. სულეიმანმა უნგრეთის მეფედ დასვა იანოშ ზაპოლია, რომელმაც თავი სულთნის ვასალად გამოაცხადა. სულეიმანის უნგრეთიდან გამგზავრების შემდეგ, იანოშ ზაპოლიასა და ავსტრიის მომხრე უნგრელ ფეოდალებს შორის დაიწყო ბრძოლა სამეფო გვირგვინისათვის. ერც-ჰერცოგმა ფერდინანდ I-მა (იგი ავსტრიის იმპერატორის, კარლოს V-ის, უმცროსი ძმა იყო) ხელთ იგდო ქ. ბუდა. იანოშმა დახმარებისათვის მიმართა სულეიმანს, რომელმაც ისევ გაილაშქრა უნგრეთზე. 1528 წელს სულეიმანმა და იანოშ ზაპოლიამ დადეს სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლითაც იანოში აღიარებდა სულეიმანის ვასალობას. სულეიმანი კი აღუთქვამდა დახმარებას ფერდინანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, ფერდინანდის ზურგს უკან იმპერატორი კარლოს V იდგა. ამიტომ სულთან სულეიმანმა ავსტრიის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. 1529 წლის მაისში სულეიმანი ორასიათასიანი ლაშქრით ვენის კედელს მიადგა. სექტემბერში ვენას ალყა შემოარტყა, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. ზამთრის მოახლოვების გამო, იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

კვლევისას გაირკვა, რომ სულთან სულეიმანის ევროპაში პირველი ლაშქრობის შემდეგ, ავსტრიის იმპერატორმა კარლოს V-მ (1519-1556 წწ.) სულთან სულეიმანს მისწერა წერილი, რომელშიც თავისი თავი *„იერუსალიმის მეფედ“* მოიხსენია. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იმ დროს სიონის მთაზე ცხოვრობდნენ ფრანცისკანელი ბერები. ისინი თავიანთ თავს მოიაზრებდნენ არა წმიდა საფლავის ბერებად, არამედ წმინდა სიონისა, რასაც მოწმობს მათი წინამძღვრის ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა: «Sigilium Guardianisacri Conventis Mountis Sion».[15]

კარლოს V-ის წერილით განრისხებულმა სულთანმა 1523 წლის 18 მარტს გამოსცა ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც, მისმა დიდმა ვეზირმა, იბრაჰიმ ფაშამ, ფრანცისკანელები სიონიდან გამოაძევა, მათი მონასტერი კი მეჩეთად გადააკეთა.

სიონიდან გამოძევებული ფრანცისკანელები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ სიონზე დასაბრუნებლად. საამისოდ იყენებდნენ აპრობირებულ მეთოდს – შუამავლობას სთხოვდნენ ევროპელ მონარქებსა და გრაფებს.[16]

1528 წელს საფრანგეთის იმპერატორმა ფრანცისკო I-მა (1515-1547) შუამავლის როლი იტვირთა და სულთან სულეიმანს სთხოვა, სიონის მონასტერი ფრანცისკანელებისთვის დაებრუნებინა, მაგრამ სულთანმა უპასუხა, რომ სიონზე მუსლიმური მეჩეთი იდგა და იგი ქრისტიანულ ტაძრად არასოდეს გადაკეთდებოდა.[17]

რაკი სიონზე დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა, ფრანცისკანელებმა გადაწყვიტეს იერუსალიმში დამკვიდრებულიყვნენ – ეყიდათ ან დაექირავებინათ იბერიელთა მონასტერი სახელწოდებით „დაირ-ალ-‘ამუდ“ („სვეტისა“). ადვილი არც ამის განხორციელება აღმოჩნდა. წინააღმდეგობას წააწყდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, რაც კარგად ჩანს ოსმალთა ხანის 942 წლის I შა’ ბანის (1536

1532 წლის აპრილში ოსმალეთის არმია ისევ დაიძრა ვენისკენ. 5 აგვისტოს მიადგა ციხე-სიმაგრე კესეგს, მაგრამ, ორგზისი იერიშის მიუხედავად, მისი აღება ვერ შეძლო. იმავე 1532 წელს რომის საღმრთო იმპერიისა და ესპანეთის ფლოტმა საგრძნობი ზარალი მიაყენა ოსმალეთის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაზე და ხელთ იგდო რამდენიმე ნავსადგური პელოპონესზე. ამიტომ 1533 წლის 22 ივნისს, სტამბოლში, ავსტრიასა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი (გაურკვეველი ვადით), რომლის მიხედვითაც, ფერდინანდმა და იანოშ ზაპოლიამ შეინარჩუნეს თავიანთი ტერიტორიები, რომლებსაც ზავის დადების დროისთვის ფლობდნენ: დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი უნგრეთი ავსტრიის ხელში გადავიდა, მაგრამ ავსტრია ვალდებული იყო თავს არ დასხმოდა აღმოსავლეთ უნგრეთს. ამასთან, ავსტრიას ყოველწლიური ხარკი უნდა ეხადა სულთნის სასარგებლოდ, სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000), (თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007), 107-113.

[15] Χρυσοστόμου Παπαδοπούλου, Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων (ἐν Ἀθήναις: 1970), 508.

[16] კათოლიკეები იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის დროიდან ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ მტრულად განეწყვნენ მამლუქები, რომლებმაც 1309 წელს აუკრძალეს მათ იერუსალიმში ცხოვრება. 1333 წელს ფრანცისკანელებს უფლება მიეცათ, სიონზე დამკვიდრებულიყვნენ. 1342 წ. ნეაპოლის მეფემ, რობერტმა (1309-1343), ეგვიპტის სულთნისგან მოიპოვა უფლება, რომ სიონზე დამკვიდრებულ 12 ფრანცისკანელ ბერს აღდგომის ეკლესიაში ელოცა (Χρυσοστόμου, Ἱστορία, 466, 474-475). მსგავსი ფაქტების დასახელება კიდევ შეიძლება.

[17] Χρυσοστόμου, Ἱστορία, 508.

წლის 25 იანვრის) იერუსალიმის შარიათის სასამართლოს ოქმიდან.[18] სწორედ ამ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ფრანცისკანელები 1536 წელს ქირით შევიდნენ ქართველთა მონასტერში „დაირ-ალ-'ამუდ" („სვეტისა"), რომელსაც მოგვიანებით (1561 წ.) საბოლოოდ დაეუფლნენ.

1537-1541 წლებში, სულთან სულეიმანის ბრძანებით, იერუსალიმს გალავანი შემოავლეს (ძირითადად დანგრეული ნაწილები განაახლეს, ახალიც მიამატეს), რომელიც დღესაც დგას.

ერთი სიტყვით, იმ დროს, როდესაც სულტან სულეიმანი ევროპაში ლაშქრობდა (1521-1532 წწ.), ფრანცისკანელები სიონზე დასაბრუნებლად ან იერუსალიმში დასამკვიდრებლად იბრძოდნენ. იერუსალიმში განვითარებული მოვლენების სრულყოფილად აღსაქმელად და იმის გასარკვევად, თუ რა დაედო საფუძვლად ზეპირგადმოცემას ქართველთა იერუსალიმში „ლაშქრობის" შესახებ, აუცილებელია ისიც გავიხსენოთ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ იმ წლებში იერუსალიმში მცხოვრები მართლმადიდებელი ბერები.

1526 წლის გაზაფხულზე სულეიმან I-მა მეორედ გაილაშქრა უნგრეთზე. ვიდრე უნგრეთისკენ დაიძვრებოდა, იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს განუახლა სელიმ I-ის მიერ 1517 წელს გაცემული ფირმანი, რომლითაც იერუსალიმის წმ. სალოცავები, ეკლესია-მონასტრები და მათ მფლობელობაში მყოფი სახლები, ბაღები და სხვა ქონება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ხელში დატოვა.[19]

ოსმალეთის სულთნები, ტრადიციისამებრ, ფირმანს იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველ მომდევნო პატრიარქს უმტკიცებდნენ. 1526 წელს იერუსალიმის ბერძნული ეკლესიის პატრიარქი იყო დოროთეოს II ატალა (1506-1537 წწ.), რომელსაც სელიმ I-მა 1517 წელს ფირმანი უბოძა. სულთან სულეიმანმა ხუთწლიანი მმართველობის შემდეგ რომ მამის მიერ გაცემული ფირმანი პატრიარქ დოროთეოსს განუახლა, იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს მან ფრანცისკანელთა დასაბრკოლებლად გააკეთა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ შემოიღო წმინდა საფლავის მოხილვის კანონიც,[20] რადგან 1526 წელს იერუსალიმს ეწვივნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია (1522-1545 წწ.), ალექსანდრიის

---

[18] ოქმის თანახმად, იმ დღეს *„სასამართლოში იმყოფებოდნენ ახმედ-ფაშა, იერუსალიმის მცველი, მუფთი, ნაკიფი, მუტრიბები, ექსიგიტები, იმამები, ზატიფებთან ერთად, შეიხები, სპახიდები, იანიჩრები და იერუსალიმში მყოფი ყველა მუსლიმი და თქვეს, რომ სიონის მონასტერში მცხოვრებ ფრანცისკანელებს სურთ გადმოვიდნენ და დასახლდნენ ქალაქ იერუსალიმში, მაგრამ ჩვენ მათ არ ვენდობით, ვითარცა მტრებს, ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლებს და იერუსალიმის სამეზის ხელმყოფთ, როგორც ამას ჩვენი უხუცესებისაგან ვისმენთ. ამიტომაც არასოდეს მიუღიათ საკუთრება შიგ იერუსალიმში. ბოლოს, ზავისა და შეთანხმების შედეგად, ვღებულობთ მათ~*. ამის შემდეგ დოკუმენტში ჩამოთვლილია ის პირობები (10 პუნქტი), რომლებსაც ფრანცისკანელები უნდა დამორჩილებოდნენ. დოკუმენტი შედგენილია არაბულ ენაზე. ვსარგებლობთ მისი ბერძნული თარგმანით: Κωνσταντίου Α΄, Βιογραφία καὶ συγγραφαὶ αἱ ἐλάσσονες ἐκκλησιαστικαὶ καὶ φιλολογικαὶ, καὶ τίνες ἐπιστπλαὶ τοῦ αὐτοῦ, ὑπὸ Θ. Α. Ἀριστοκλέους (Ἐν Κωνσταντινούπολει: 1866), 248-250. იხ. აგრეთვე: Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας ὑπὸ Ἀνθύμου Παπαδοπούλου - Κεραμέως, τόμ. Δ΄ (Ἐν Πετρούπολει: 1897),443- 445, დოკ. N 23. იერუსალიმის შარიათის სასამართლოს ოქმთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე: ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 172.

[19] Χρυσοστόμου, Ἱστορία, 509.

[20] კანონთან დაკავშირებით იხ.: ც. აბულაძე, წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი, მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX (2001), 373-379.

პატრიარქი იოაკიმე (1487-1567 წწ.) და ანტიოქიის პატრიარქი მიქაელი (1523-1540 წწ.). ამ სამისა და იერუსალიმის პატრიარქის მონაწილეობით იერუსალიმში შედგა სინოდი, რომლის მნიშვნელობაც, მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხს მიეძღვნა, ძალიან დიდია, რადგან 1443 წლის შემდეგ იერუსალიმში სინოდი არ შემდგარა.[21] მეტიც; კონსტანტინეპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ იერუსალიმში პილიგრიმობაც კი შეზღუდული იყო. ასეთი რადიკალური ცვლილებების ფონზე, არ არის გამორიცხული, რომ 1526 წლის გაზაფხულზე სულთან სულეიმანს თავისი წარმომადგენელი საქართველოში წარმოეგზავნა და ქართველი მეფეებისათვის თავიანთი სალოცავების დაცვისკენ მოეწოდებინა.

ამ თვალსაზრისს გვიმყარებს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ორი არაბული დოკუმენტი. პირველი ხელმოწერილია იერუსალიმის მსაჯულის – სალეხის მიერ, 929 წლის ზილჰიჯე თვის 14-ს (=1523 წლის 24 ოქტომბერს). ამ დოკუმენტის თანახმად, ქართველთა იღუმენმა, სავულამ (საბამ.), სასამართლოში სარჩელი შეიტანა ფრანცისკანელთა იღუმენის – ფრა-დონატოს წინააღმდეგ, რადგან *„მაშინ სიონზე მდებარე წმ. მონასტრის* (იგულისხმება დავითის კოშკი – თ. მ.) *ნაწილის უმთავრესი მფლობელები ქართველებიც იყვნენ... ვინაიდან ქართველთა იღუმენმა ძველი და მტკიცე საბუთები წარადგინა, სასამართლოს მიერ გამართლდა“*.[22]

მეორე არაბულ დოკუმენტი (ხელმოწერილია იერუსალიმის მსაჯულის – მუსტაფას მიერ, ჰიჯრიდან 1005 წელს (=1596/1597 წწ.), ეხება სამეფო ბრძანებულებას, რომ დაზუსტდეს სიონის მთაზე ლათინთა, ქართველთა და ბერძენთა სასაფლაოების საზღვრები.[23]

ერთი სიტყვით, როგორც კი ფრანცისკანელები სიონიდან გააძევეს (1523 წლის 18 მარტს), დაიწყო ხანგრძლივი სასამართლო დავები ქართველებსა და ფრანცისკანელებს შორის. 1523 წლის 24 ოქტომბერს რომ ქართველებმა სასამართლო დავა მოიგეს, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს განაპირობა არა მხოლოდ *„ძველმა და მტკიცე საბუთებმა“,* არამედ ოსმალეთის ხელისუფლების დამოკიდებულებამ ფრანცისკანელთა მიმართ.[24]

---

[21] Χρυσοστόμου, Ἱστορία, 510-512.

[22] Κωνσταντίου Α΄, Βιογραφία καὶ συγγραφαὶ, 281. იხ აგრეთვე: Ἀνάλεκτα, τόμ. Δ΄ (1897), 446-447, დოკ. N 29.

[23] Κωνσταντίου Α΄, Βιογραφία καὶ συγγραφαὶ, 284. Ἀνάλεκτα, τόμ. Δ΄ (1897), 447-448, დოკ. N 34. მართალია, ეს დოკუმენტი გვიანდელია (1596/97 წლისაა), მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ადასტურებს, რომ ქართველებს სიონზე სასაფლაო უძველესი დროიდან ჰქონდათ. მეორე მხრივ კი, იმას მოწმობს, რომ დავა ფრანცისკანელებთან დიდხანს გაგრძელდა. ქართველთა სასაფლაოებთან დაკავშირებით, იხ.: მესხი თამარ, ქართული სასაფლაოები იერუსალიმსა და მის შემოგარენში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, N 18 (2020), 185-218.

[24] ამაში გვარწმუნებს ის გარემოება, რომ ქართველებმა წააგეს ფრანცისკანელებთან 1559 და 1561 წელს გამართული სასამართლო დავები „დაირ-ალ-‘ამუდ“- თან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ეს განაპირობა არა მხოლოდ იმან, რომ მაშინ ფრანცისკანელთა ლობი სულთნის კარზე ძლიერი აღმოჩნდა, არამედ იმერეთის სამეფოსთან უთანხმოებამ და 1543 და 1545 წელს მომხდარმა ომებმა.

ამრიგად, 1526 წელს უნგრეთში სალაშქროდ მიმავალმა სულთან სულეიმანმა ევროპელ ქრისტიანებს იერუსალიმში მეორე ფრონტი გაუხსნა, რომელშიც ბერძენი და ქართველი ბერები ჩართო: იერუსალიმის წმინდა სალოცავები და მათი ქონება ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს მფლობელობაში დატოვა. ქართული ეკლესია-მონასტრების დასაცავად კი ქართველ მეფეებს უხმო.

სულეიმან I-ის მიერ წარმოგზავნილი ელჩის საქართველოში ჩამოსვლას, ქართველ მეფეებთან ხლებას, შემდეგ კი მეფეების ერთმანეთთან შეთანხმებას და იერუსალიმში გასამგზავრებლად სამზადისს გარკვეული დრო დასჭირდებოდა. შესაბამისად, **ქართველი მეფეები იერუსალიმში 1527 წელს ჩასულან.**

ბუნებრივია, ქართველი მეფეები იერუსალიმში თანმხლებ პირებთან ერთად ჩავიდოდნენ. შესაძლოა, სწორედ ამან გამოიწვია ადგილობრივ ხელისუფალთა გაკვირვება და მათდამი ასე მიმართვა: *„...სტუმრად ბევრნი ხართო, და უკეთუ ბრძოლად მოსრულხართ, მცირენი ხართო“*.[25]

იმავე წყაროთა თანახმად, ხონთქარმა ქართველ მეფეებს *„მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი... სიგელითა მტკიცითა“.*

„ახალი ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწერა. მომხდარი ამბიდან გასული იყო ორას წელზე მეტი. არ არის გამორიცხული, თხზულების ავტორს ქართველ მეფეთა იერუსალიმში მშვიდობიანი მოგზაურობა სახეცვლილი სახით მოესმინა, ან სულაც თავად შეეცვალა. ამ ცვლილებას განაპირობებდა ის გარემოება, რომ სულთან სულეიმანის ზეობის პერიოდში ოსმალები საქართველოს ორჯერ (1543 და 1545 წელს) შემოესივნენ.[26] მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ უფრო ადრე სულთან სულეიმანს ქართველებისთვის სალოცავები უბრძოლველად გადაეცა. ამიტომ ქართველ მეფეთა 1527 წელს იერუსალიმში მშვიდობიანი მოგზაურობა გადააზრებულ იქნა ლაშქრობად.

გამოყენებული ლიტერატურა - References

აბულაძე, ცისანა. „წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი“, *მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი)*, XIX (2001): 373-379.

ბაგრატიონი, ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1973.

[25] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 354.

[26] 1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ საათაბაგო იმერეთს შეუერთა. ოსმალეთი სამცხის დაკარგვას ვერ შეეგუა. 1543 წ. სულთან სულეიმანმა, იმერეთის დასასჯელად, გამოგზავნა მუსა (მუსტაფა) ფაშა 22 000-იანი ჯარით, მაგრამ ქართველებმა გაიმარჯვეს. განრისხებულმა სულთანმა 1545 წელს, დიარბექირისა და არზრუმის ფაშების სარდლობით, უფრო ძლიერი ჯარი გამოგზავნა. ამ ბრძოლაში, რომელიც მოხდა ბასიანში, სოხოისტას ველზე, ქართველები დამარცხდნენ.

გაბაშვილი, ტიმოთე. *მიმოსლვა*: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1956.
ეგნატაშვილი, ბერი. *ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება*, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959.
თვარაძე, ალექსანდრე. *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე*, თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“, 2004.
მამისთვალიშვილი, ელდარ. *ქართველები და ბიბლიური სამყარო.* გამომცემლობა ქართლი, 1998.
მამისთვალიშვილი, ელდარ. *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008.
მამისთვალიშვილი, ელდარ. *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.)*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.
მასხარაშვილი, სიმონ. *მატიანე ქართველთა, შტრიხები ფიქრისა და განსჯისათვის.* თბილისი: ელფის გამომცემლობა, 2006.
მენაბდე, ლევან. *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980.
მესხი, თამარ. ქართული სასაფლაოები იერუსალიმსა და მის შემოგარენში: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, *ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული*, N 18 (2020), 185-218.
სვანიძე, მიხეილ. *თურქეთის ისტორია (1299-2000)*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007.
სვანიძე, მიხეილ. *სულეიმან I-ის საგარეო პოლიტიკა და დაპყრობითი ომები: საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ნარკვევები*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2008.
ფირცხალაიშვილი, რიმა. *ახალი მასალები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
ფირცხალაიშვილი, რიმა. *კვლავ რუსთველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
ფირცხალაიშვილი, რიმა. პირველი მეცნიერული სიტყვა რუსთველის შესახებ. *ლიტერატურული ძიებანი,* 23 (2002):206-2014.
ღვაბერიძე, ციალა. 1527 წელს იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის შესახებ. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, 8 (2008), 218-222.
ჯაფარიძე, გოჩა. იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ 1516-17 ან 1527 წლებში. *ქართველოლოგია*, 3 (2011), 5-19.
ჯაფარიძე, გოჩა. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში.* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018.
Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας ὑπὸ Ἀνθύμου Παπαδοπούλου - Κεραμέως, τόμ Δ΄, Ἐν Πετρούπολει: 1897.
Χρυσοστόμου, Παπαδοπούλου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις: 1970.